წერილის ნომერი: **18-01242213139**
თარიღი: **08/08/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01242083208
წერილის თარიღი:	26/07/2024
განმცხადებელი:	მარიამ ეფრემიძე
განაცხადის N	AR11021676
მისამართი	ქ. თბილისი, ღოღობერიძის ქუჩა #9 მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.18.13.020.067
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №254 თარიღი: 10 ივნისი, 2022
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	4006 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „სოლუმ პარტნიორი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე

არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული როგორც, ,,დადგენილება“) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, **დასარგავად შემოთავაზებული 80 ძირი ნერგი (40 ძირი ტუია, 20 ძირი იტალიური ფიჭვი და 20 ძირი ნეკერჩხალი)** და **საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 9 ძირი მწვანე ნარგავი (2 ძირი თუთა, 4 ძირი კაკალი და 3 ძირი თელა)**, სრულად ითვისებს კ3**(0.3)** გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1201.8 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული **3 ძირი მწვანე ნარგავის (თუთა N11-D=28სმ, N23-D=31.8სმ და კაკალი N12-D=33.4სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, *რაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.***

გაცნობებთ, რომ მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან განმცხადებლის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი მწვანე ნარგავი ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან, მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, **სამსახური გასცემს მათი (თუთები N21-D=4-8სმ და N22-D=4-8სმ) *მოჭრის ნებართვას, მას შემდეგ რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 256 (ორას ორმოცდათექვსმეტი) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).***

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 15 ძირი მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავიდან, მხოლოდ 6 ძირი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, მათი (N1, N2, N3, N4, N5, N6, N10, N13, N14, N16, N17, N18, N19, N20, N27) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დენდროლოგიური პროექტი

განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ღოღობერიძის №9 მიმდებარედ ს/კ 01.18.13.020.067 დაგეგმილი გვაქვს სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი ს/კ 01.18.13.020.067 მიღებულია ს/კ 01.18.13.020.363 მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად გრგ-ს მიხედვით. გრგ-ს ეტაპზე მიღებული გვაქვს თქვენი თანხმობა. (იხ. დანართი)

მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა 23 ერთეულია;

დაგეგმილი პროექტის განხორციელებას ხელს უშლის 18 ხემცენარე; აქედან 15 ხე-მცენარე ხილ-კენკროვანია და არ საჭიროებს მოჭრის ნებართვას, ხოლო 3ც. ხე გადაირგვება საპროექტო ტერიტორიზე.

ტერიტორიაზე მოეწყობა 942.4 კვ.მ გაზონი.

ტერიტორიაზე სულ განთავსებული იქნება 87 ც. ხე-მცენარე, აქედან:

<u>არსებული ხე:</u>

7 - კაკლის ხე - 1ც.
8 - კაკლის ხე - 1ც.
9 -კაკლის ხე - 1 ც.
18 - ვაშლი - 1ც.
19 - ქლიავი - 1ც.

<u>მოსაჭრელი ხე:</u>
1; 2; 3; 4; 5; 6; 10; 13; 14; 16; 17; 20; 21; 22; 27 - ხილ-კენკროვანი

<u>გადარგვა:</u>

11 - თუთა ჩვეულებრივი - 1ც.
12 - კაკლის ხე - 1ც.
23 - თუთა ჩვეულებრივი - 1 ც.

<u>დასარგავი</u>

1 - ტუია (ბუჩქი) - 40 ც.
2 - იტალიური ფიჭვი - 20ც.
3 - ნეკერჩხალი ქორაფი - 20ც.

ტერიტორიის ფართობი: 4006 კვ.მ
კ3 საანგარიშო ფართი: 1222.2 კვ.მ







ფორმატი	ზომების N	ცვლილების №	შესრულების ხანგრძლივობა
A-3			

კომპლექსი „ნინოწმინდა"

0.00	ნიშნული მისასვლელი გზის
6.00	ნიშნული ბორცვის
301.0 307.1	გასაწვდი ნიშნული
5	ნაკვეთი
	ბორცვის ხაზი
	ბეტონის კედელი
	ბეტონის კედელი

ხაზი N 101	114.0 მ		მეზღუდავი შენობა
100.0 მ	14.00°		ხაზობრივი ელემენტი შენობა
			შენობა მიწა კონტაქტის
			ხაზის №

ნინოწმინდა

ნინოწმინდა

ნინოწმინდა

ნინოწმინდა

ვეტერინარული კლინიკის სამშენებლო ნებართვის პროექტი

1:500

ფასადების N	ჭრილების N	ათვისების N	შენობის სართულობა
A3			

ტერიტორიის ათვისების საორიენტაციო გეგმა

0.00	ნიშნული, მეტრი
6.00	ნიშნული, სანტიმეტრი
3010 3971	ასაღები წერტილი
5	ღერძის ნომერი
	ტროტუარი, ასფალტი
	ასფალტი, ქვაფენილი
	ბეტონის ბორდიური

ავტომობილის მოძრაობის მიმართულება	
ავტომობილის შესასვლელი	
ავტომობილის გამოსასვლელი	
ავტომობილის სადგომების რაოდენობა	40 ერთეული
ავტომობილის სადგომების N	40 ერთეული

- ბალახი;
- ბუჩქი;
- ხეები;
- ხეები ფიქალის ქვის ბორდიურით;
- ხეები ფიქალის ქვის ბორდიურით;
- ასფალტის საფარი;
- ბეტონის ფილა;
- ასფალტის საფარი;

ტერიტორიის ათვისების საორიენტაციო გეგმა

ნაკვეთის საერთო ფართობი	1180 მ²
მშენებლობის ფართობი	1187 მ²
ნაკვეთის ათვისების კოეფიციენტი	100.0 %
ნაკვეთის N	

ავტომობილის მოძრაობის სქემა

ავტომობილის შესასვლელი N1 ქ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან

ავტომობილის გამოსასვლელი N1 ქ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე

ავტორი

არქიტექტორი	ნინო ბერიძე
ინჟინერ-კონსტრუქტორი	ალექსანდრე ჯაფარიძე
ინჟინერ-ტექნოლოგი	ლევან ლომიძე
ინჟინერ-სანტექნიკოსი	ნიკოლოზ ჩიქოვანი
ინჟინერ-ელექტრიკოსი	ირაკლი ბერიძე

ნებართვის მოთხოვნები

ნებართვის ნომერი	24NE	01/ 781 .01 .01 .GWP-ს/ნ
ნებართვის გაცემის თარიღი	01.01.2024	
ნებართვის მოქმედების ვადა	01.01.2027	

ნებართვის მფლობელი

ფიზიკური პირის სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
იურიდიული პირის დასახელება	შპს „ვეტ ლაიფ“
საიდენტიფიკაციო კოდი	405234567

ნებართვის მიმღები

ფიზიკური პირის სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
იურიდიული პირის დასახელება	შპს „ვეტ ლაიფ“
საიდენტიფიკაციო კოდი	405234567

ობიექტის ზოგადი აღწერა

ობიექტის ფოტო

ობიექტის ადგილმდებარეობა: ქ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა N9

ობიექტის დანიშნულება: ვეტერინარული კლინიკა

ობიექტის ტიპი: ახალი მშენებლობა

ობიექტის კატეგორია: IV კატეგორია

ობიექტის ძირითადი მაჩვენებლები

ნაკვეთის ფართობი	1180 მ²
მშენებლობის ფართობი	1187 მ²
ნაკვეთის ათვისების კოეფიციენტი	100.0 %
სართულების რაოდენობა	3
სიმაღლე	12.00 მ
ავტომობილის სადგომების რაოდენობა	40 ერთეული

ნებართვის პირობები

1. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას მშენებლობის ტექნიკური რეგლამენტი და სამშენებლო ნორმები.
2. მშენებლობის დაწყებამდე ნებართვის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ტერიტორიის შემოღობვა.
3. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ნებართვის მქონე სპეციალიზებული ორგანიზაციის მიერ.
4. ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის დასრულებისთანავე ტერიტორია მოაწესრიგოს.
5. ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე 3 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს ადგილობრივ თვითმმართველობას.

ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვის გაცემაზე უარი არ ითქმება.

ნებართვის გაუქმების საფუძვლები

ნებართვის გაუქმების საფუძვლები არ არსებობს.

ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი	ნინო ბერიძე
პირადი ნომერი	01018012067
ხელმოწერა	
ბეჭედი	

1. ტუია ბუჩქი



2.იტალიური ფიჭვი



3.ნეკერჩხალი ქორაფი



საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია

№	მცენარეთა დასახელება	სიმაღლე	ღეროს გარშემო.	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა	რაოდენობა
	არსებული ხეები					8
	გადასარგავი ხეები			იხ.ტაქსაცია		3
1	ტუია	0.5-1.0	0.15	წიწვოვანი ბუჩქი	მარადმწვანე	40
2	იტალიური ფიჭვი	3-3.5	0.20	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე	20
3	ნეკერჩხალი-ქორაფი	3-3.5	0.20	ფოთლოვანი ხე	მარადმწვანე	20
	მობუჭარბებული ფილა				კვ.მ	275.1
	გაზონი ჩვეულებრივი				კვ.მ	942.4

სამუშაოების მოცულობა

№	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	არსებული ხეების გადარგვა	ცალი	3	
2	არსებული ხეების ფორმირება	ცალი	8	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში (ორმოს ზომა 0.8X0.8X0.8)	ცალი	83	1 კუბ.მ მიწის ნაზავი
4	წიწვოვანი ხეების დარგვა	ცალი	20	
5	ფოთლოვანი ხეების დარგვა	ცალი	20	
6	წიწვოვანი ბუჩქების დარგვა	ცალი	40	
7	15 სმ სისქის ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანა და გაშლა, გაზონის მოსაწყობად	კუბ.მ	142	
8	ახლადჩარგული მცენარეების და გაზონის მორწყვა	მთელი გამწვანებული ტერიტორია		1217.5 კვ.მ


ფურცელი
№
ფორმატი
A-3
ტიპიური განივკვეთების ნუმერაცია
0.00
ნიშნული მეზობელზე
6.00
ნიშნული პროექტზე
301.0
307.1
ბარის ნიშნული
5
ღერძის ნომერი
1
პროექტის საზღვარი
ასფალტის საფარი
ბეტონის საფარი
ბეტონის ქვიშა
ბორდიურის ნომერი
114.0 მ
ბორდიურის სიგრძე
100.0 მ
14.00 მ
საპარკინგე ადგილების რაოდენობა
ბორდიურის ნომერი
- არსებული ხე;
- გადარგული ხე;
- ტუია (ბუჩქი);
- იტალიური ფიჭვი;
- ნეკერჩხალი ქორაფი;
- გაზონი ჩვეულებრივი;
- მოზუჭარგებული ფილა;
ტექნიკური პირობები
1. სამუშაო ზონები მოსაზღვრავს საავტომობილო გზებს.
2. სამუშაო ზონა იფენება მშენებარეობაზე მოსაზღვრებზე 30მ-ის ფარგლებში ავტომანქანებით.
3. შესაფუთ პროდუქციის ტრანსპორტირებას ახორციელებენ ავტომანქანებით.
სიტუაციური სქემა
ობიექტი
კერძო საკუთრების
ადრესი
მრავალფენიანი საცხოვრებელი სახლი
მისამართი:
ქ. თბილისი, ავლ. ღუდუშაურის, N9
პროექტის N
ს.კ 01.18.13020.067
მთავარპროექტი
გასული
ხელმოწერა
შესრულებაზე
დ.ლეკვეიშვილი
კონსულტანტი
მ.ცისკაძე
ხელმძღვანელი
ს.ბერიძე
ტიპიური განივკვეთების ნუმერაცია
მასშტაბი 1:151.19, 1:
01 მაისი 2024 წ.
ფორმატი
A3



დენდროლოგიური პოოეძტის საინფორმაციო ბანერი

დამკვეთი: ლევან დევაძე

საპოოეძტო ტერიტორიის მისამართი: ქ. თბილისი,

ქ. თბილისი, ქუჩა ღოღობერიძე, №9 მიმდებარედ
ს.კ 01.18.13.020.067

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

ძ-ჯ-საანბარიშო ფართობი შეადგენს 1222.2 კვ.მ
დენდროლოგიური პოოეძტის შეთანხმების თარიღი: 2024წელი
დენდროლოგიური პოოეძტის დასრულების თარიღი: 2027 წელი
ტერიტორიაზე ფიქსირდება 23ც. არსებული ფოთლოვანი ხე-ნარგავი
დასარგავი ხე-მცენარეების ხახეობა:

1. ტუია - 40 ძირი (სიმაღლე 0.5-1.0) ღეროს ბარშემოწერილობა 0.15სმ
2. იტალიური ფიჭვი 20 ძირი (სიმაღლე 3.00-3.50) ღეროს ბარშემოწერილობა 0.20სმ
3. ნეკერჩხალი - ქორაფი - 20 ცალი. (სიმაღლე 3.5 მ.) ღეროს ბარშემოწერილობა 0.20 მ.

ახლადარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი: ლევან დევაძე

ახალდარგულ ხე მცენარეების მოვლის ხანგძლივობა: 3წელი

ხე-მცენარის გადარგვის ტექნიკური რეგლამენტი

25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

ხე-მცენარე №11 თუთა (D-28)

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მომზადება, რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის პროპორციული. აღნიშნული მცენარის დიამეტრია 28 სმ. დიამეტრის შესაბამისად მცენარის სარგავი ორმოს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 2,8მ დიამეტრის, ხოლო სიღრმე 1,4მ. სარგავ ორმოში აუცილებელია ტორფნარი მიწის შეტანა, რითაც 2 სმ სისქით უნდა დაიფაროს ორმოს ფსკერი და კედლები. სარგავი ორმოს გარშემო პერიმეტრი 2 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან, ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1.40 სმ ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 2.8 სმ. მცენარის გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით. გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა. კერძოდ, ტრაქტორი რომლითაც ხორციელდება ტრანშეს გაჭრა და შესაბამისი ამწე, რომლის საშუალებითაც ხდება ნარგავის გადატანა. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2,5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მისი წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩადგმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს მცენარის დასარგავ ადგილზე დაფიქსირება. ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით. რის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიქსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილითა და საღამოს პერიოდში, 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით - 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარისათვის ახალი გარემოს შეგუების ოპტიმალური პერიოდია და ნარგავის გახარებისთვის აუცილებელი პირობა.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან - ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 22^0-დან -30^0-მდე ტემპერატურისას ყოველ მე-3 ან მე-4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით), 30^0-დან 35^0-მდე დღეგამოშვებით, ხოლო 35^0 ზე ზევით ტემპერატურისას ყოველდღე.[1] რეკომენდირებულია დამონტაჟდეს სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება ავტომატური მორწყვის სისტემა და უზრუნველყოფს მცენარეების მორწყვას ზემოთაღნიშული პრინციპის დაცვით.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში უნდა მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ. აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

ხე-მცენარე №12 კაკალი (D-33,4)

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მომზადება, რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის პროპორციული. აღნიშნული მცენარის დიამეტრია 33,4 სმ. დიამეტრის შესაბამისად მცენარის სარგავი ორმოს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3,3მ დიამეტრის, ხოლო სიღრმე 1,6მ. სარგავ ორმოში აუცილებელია ტორფნარი მიწის შეტანა, რითაც 2 სმ სისქით უნდა დაიფაროს ორმოს ფსკერი და კედლები. სარგავი ორმოს გარშემო პერიმეტრი 2 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან, ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

[1] წყარო: http://www.treegator.com/watering/index

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1.40 სმ ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 2.8 სმ. მცენარის გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით. გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა. კერძოდ, ტრაქტორი რომლითაც ხორციელდება ტრანშეს გაჭრა და შესაბამისი ამწე, რომლის საშუალებითაც ხდება ნარგავის გადატანა. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2,5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მისი წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩადგმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს მცენარის დასარგავ ადგილზე დაფიქსირება. ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით. რის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიქსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილითა და საღამოს პერიოდში, 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით - 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარისათვის ახალი გარემოს შეგუების ოპტიმალური პერიოდია და ნარგავის გახარებისთვის აუცილებელი პირობა.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან - ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 22^0-დან -30^0-მდე ტემპერატურისას ყოველ მე-3 ან მე-4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით), 30^0-დან 35^0-მდე დღეგამოშვებით, ხოლო 35^0 ზე ზევით ტემპერატურისას ყოველდღე.[2] რეკომენდირებულია დამონტაჟდეს სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება ავტომატური მორწყვის სისტემა და უზრუნველყოფს მცენარეების მორწყვას ზემოთაღნიშული პრინციპის დაცვით.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის

[2] წყარო: http://www.treegator.com/watering/index

რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში უნდა მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ. აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

მცენარის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს დადგენილი წესის მიხედვით.

ხე-მცენარე №23 თუთა (D-31,8)

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მომზადება რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის მიხედვით. აღნიშნული მცენარის დიამეტრი არის 31,8 სმ დიამეტრის შესაბამისად მისი ორმოს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3,1მ. და სიღრმე 1,6მ. საჭიროა ორმოში ტორფნარი მიწის შეტანა, რომლის ფსკერიც და კედლებიც უნდა დაიფაროს 2 სმ სისქით. ნიადაგი გარშემო 2 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოიხნას და გადაიფარცხოს.

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1.40 სმ ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 2.8 სმ. გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით, გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა კერძოდ, ტრაქტორი რომლითაც ხორციელდება ტრანშეს გაჭრა და შესაბამისი ამწე, რომლის საშუალებითაც ხდება ნარგავის გადატანა. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2.5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მცენარის წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩასმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს დასარგავ ადგილზე დაფიქსირება,

ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით, ამის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიწსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილა- საღამოს 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარისათვის ახალი გარემოს შეგუების ოპტიმალური პერიოდია და ნარგავის გახარებისთვის აუცილებელი პირობა.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 220დან -300მდე ყოველ მე3 ან მე4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით) 300დან 350მდე დღეგამოშვებით, ხოლო 350 ზე ზევით ყოველდღე. (წყარო:http://www.treegator.com/watering/index)

რეკომენდირებულია დამონტაჟდეწ სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება მარეგულირებელი და დაყენდება ზომოთ აღნიშნულ მორწყვით სტანდარტზე.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ. აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

მცენარის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს დადგენილი კანონის მიხედვით.



დამოუკიდებელი ექსპერტი:

ბექა ბერძენიშვილი

დიდტანოვანი მწვანე ნარგავების გადარგვების შესახებ

ქ.თბილისი 20.07.2024 წ.

შპს მებაღე თანახმაა გადარგოს სოლუშ პარტნიორის საკუთრებაში 3 ძირი მწვანე ნარგავი.

1. სოლუშ პარტნიორი 400316680
2. გადასარგავი მწვანე ნარგავები შეფასებულია 15.02.2022 წელს დასკვნის N001/002-ვ
   N11 თუთა D 28
   N12 კაკალი D33,4
   N23 თუთა D31.8

   მისამართი: ქ.თბილისი ღოღობერიძის ქუჩა
   ს/კ 01.18.13.020.067

3. გადარგვა მოხდება სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, გამოყენებული იქნება ყველა ის მეთოდოლოგია და ტექნიკა რაც მითითებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ შეგენილ გადარგვის მეთოდოლოგიების დოკუმენტში.
4. გადარგვა მოხდება დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.
5. გადასარგავი მწვანე ნარგავები:

შემსრულებელი:

შპს მებაღე

ს/კ 405382205

ბანკის კოდი TBGBGE22

GE57TB7058636080100018

დირექტორი: ბექა ბერძენიშვილი

პ/ნ 01008047184



საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	06. 01. 2022 წ
დასკვნის გაცემის თარიღი:	15. 02. 2022 წ
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/002-ვ

ფართობი (კვმ)	8015.00
საკადასტრო კოდი N	01.18.13.020.063
მისამართი:	ქალაქი თბილისი , ჭუჩა ღოღობერიძე , N 9 , მიმდებარედ
მესაკუთრე:	შპს "სოლუმ პარტნიორი" , ID ნომერი:400316680
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი წუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების წუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით კობახიძის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-31 02. 06. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	27
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	27
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

დასკვნას ასევე თან ერთვის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, იმ შემთხვევებისთვის როცა მეპატრონეს სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად ხელს უშლის მწვანე ნარგავი.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	ჯგუფები 4,1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ალუბალი (Prunus cerasus)	15,3		3,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
2	ალუბალი (Prunus cerasus)	6,4		3	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი
3	ქლიავი (Prunus domestica)	19,1		4	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი
4	ლეღვი (Ficus carica)	44,6		3	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი
5	ალუბალი (Prunus cerasus)	16,6		3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
6	ალუბალი (Prunus cerasus)	6,7		3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
7	კაკლის ხე (Juglans regia)	29,0		7	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
8	კაკლის ხე (Juglans regia)	21,3		5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
9	კაკლის ხე (Juglans regia)	20,7		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
10	ჭერამი (Prunus armeniaca)	12,7		4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
11	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	28,0		7	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

12	კაკლის ხე (Juglans regia)	33,4		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
13	ალუბალი (Prunus cerasus)	5,7		3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
14	ლეღვი (Ficus carica)		8	4	ჯანსაღი	ჯგუფში 8 ერთეული, ხილ-კენკროვანი
15	თელა მინდვრის (Ulmus foliaceae Galib)	30,6		7,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
16	ლეღვი (Ficus carica)		9	3,5	ჯანსაღი	ჯგუფში 9 ერთეული, ხილ-კენკროვანი
17	ლეღვი (Ficus carica)		8	2,5	ჯანსაღი	ჯგუფში 8 ერთეული, ხილ-კენკროვანი
18	ვაშლი (Malus)	10,2		2,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
19	ქლიავი (Prunus domestica)	23,6		4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
20	ქლიავი (Prunus domestica)	6,1		2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
21	თუთა ჩვეულებრივი (Morus)		2	4	ჯანსაღი	ჯგუფში 2 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
22	თუთა ჩვეულებრივი (Morus)		2	4	ჯანსაღი	ჯგუფში 2 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
23	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	31,8		7,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
24	თელა მინდვრის (Ulmus foliaceae Galib)	11,5		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
25	თელა მინდვრის (Ulmus foliaceae Galib)		8	2	ჯანსაღი	ჯგუფში 8 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

26	შავი ვერხვი (Populus nigra)	33,4		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
27	ტყემალი (Prúnus cerasifera)	8,0		2,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

ტერიტორიაზე განთავსებული 27 ნომერი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 6 ნომერი, მათ შორის
დაბალი ღირებულების სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე - თუთა ჩვეულებრივი, თელა მინდვრის;
ხილ-კენკროვანი სახეობის - ლელვი;
კერძოდ:

N 14 ჯგუფში 8 ერთეული **ლელვი (Ficus carica);**
N 16 ჯგუფში 9 ერთეული **ლელვი (Ficus carica);**
N 17 ჯგუფში 8 ერთეული **ლელვი (Ficus carica);**
N 21 ჯგუფში 2 ერთეული **თუთა ჩვეულებრივი (Morus);**
N 22 ჯგუფში 2 ერთეული **თუთა ჩვეულებრივი (Morus);**
N 25 ჯგუფში 8 ერთეული **თელა მინდვრის (Ulmus foliaceae Galib).**

ერთეულად მდგომი მცენარეებია 21 ძირი ხე, კერძოდ:

1. *საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* **4 ძირი:**
   - 4 ძირი (N 7, N 8, N 9, N 12) **კაკლის ხე - Juglans regia.**

2. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* **5 ძირი:**
   - 2 ძირი (N 11, N 23) **თუთა ჩვეულებრივი - Morus;**
   - 2 ძირი (N 15, N 24) **თელა მინდვრის - Ulmus foliaceae Galib;**
   - 1 ძირი (N 26) **შავი ვერხვი - Populus nigra.**

3. *ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* **12 ძირი:**
   აქედან 12სმ-ზე ნაკლები დიამეტრისაა **6 ძირი:**
   - 3 ძირი (N 2, N 6, N 13) **ალუბალი - Prunus cerasus;**
   - 1 ძირი (N 18) **ვაშლი - Malus;**
   - 1 ძირი (N 20) **ქლიავი - Prunus domestica;**

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

- 1 ძირი (N 27) ტყემალი - Prúnus cerasiféra.

12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 6 ძირი:

- 2 ძირი (N 1, N 5) ალუბალი - Prunus cerasus;
- 1 ძირი (N 4) ლეღვი - Ficus carica;
- 2 ძირი (N 3, N 19) ქლიავი - Prunus domestica;
- 1 ძირი (N 10) ჭერამი - Prunus armeniaca;

იხ. ცხრილი N 1.

ალრიცხული 27 ნომერი ხე–მცენარე არის ჯანსაღი.

ერთეულად მდგომი ჯანსაღი 21 ძირი ხე–მცენარიდან 12 ძირი ხილ-კენკროვანი სახეობისაა, ხოლო 6 ძირი ხე-მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 3 ძირი:

- 2 ძირი (N 8, N 9) კაკლის ხე - Juglans regia.
- 1 ძირი (N 24) თელა მინდვრის - Ulmus foliaceae Galib.

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 6 ძირი:

- 2 ძირი (N 7, N 12) კაკლის ხე - Juglans regia.
- 2 ძირი (N 11, N 23) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
- 1 ძირი (N 15) თელა მინდვრის - Ulmus foliaceae Galib;
- 1 ძირი (N 26) შავი ვერხვი - Populus nigra;

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკით გამოყენებით.

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუნწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო)

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).

2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახაგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.
5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი
დავით კობახიძე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნასთან ერთად გაგაცნობთ მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას

I განცხადება

მშენებლობის მიზნით (იგულისხმება შემთხვევა, როცა მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2018 წლის 22 თებერვლამდე) კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა

ნომენკლატურა:
ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს (სადაც, დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რა მიზნით სურს განმცხადებელს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა);

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
(*მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტი, როგორც წესი მოიცავს ფოტო-მასალასაც. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფოტოები არ ახლავს ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტს და აუცილებელია, რომ დაინტერესებულმა პირმა თავად დაურთოს განცხადებას. ფოტო მასალა თუ დისკის სახით იქნება წარმოდგენილი, შესაძლებელია მისი ამ სახით ჩაბარებაც);*

- განმცხადებელმა უნდა წარმოადგენინოს სათანადო ტოპო. გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:
  - საპროექტო შენობის განთავსების სქემა;
  - მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით;
  - საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა;

შენიშვნა:
დაინტერესებული პირი - არის მესაკუთრე, რომელსაც შეიძლება ყავდეს წარმომადგენელი/მინდობილი პირი. ამ შემთხვევაში, პირმა ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარმოადგინოს მინდობილობა.

II განცხადება

მშენებლობის მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა (იგულისხმება შემთხვევა, როცა მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შესახებ გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება)

ნომენკლატურა:
მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს;
- მშენებლობის ნებართვას;
- ადმინისტრაციული დაპირების ფარგლებში მოთხოვნილ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა:
ადმინისტრაციული დაპირება სამსახურის მიერ გაიცემა 2018 წლის 22 თებერვლიდან შემდეგ.
როგორც ცნობილია, მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად დაინტერესებული პირი მიმართავს არქიტექტურის სამსახურს და სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად tas.ge-ზე ტვირთავს:
- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
- სათანადო ტოპო გეგმას (გეგმაში დატანილია საპროექტო შენობის განთავსების სქემა, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა).

არქიტექტურის სამსახური გამწვანების სამსახურს, პოზიციის დაფიქსირების მიზნით, უგზავნის დაინტერესებული პირის განაცხადს შესაბამისი დანართებით, რის საფუძველზეც გარემოს დაცვის სამსახური აფიქსირებს თავის პოზიციას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით. ე. წ ადმინისტრაციულ დაპირებაში, გარემოს დაცვის სამსახურის მიერ, გაწერილია ყველა ის პირობა, რაც უნდა დააკმაყოფილოს დაინტერესებულმა პირმა არქიტექტურის სამსახურიდან მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ხე-მცენარეების საკომპენსაციო ჩრასა, თუ გადარგვის პროცედურებთან დაკავშირებით.

III განცხადება

თუ განმცხადებელს მშენებლობის მიზნით სურს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა და ჯერ არ აქვს მშენებლობის ნებართვა აღებული, ნარგავების მოჭრის ან/და გადარგვის თაობაზე განცხადება (რომელიც მოიცავს I პუნქტში გათვალისწინებულ დოკუმენტაციას) მან უნდა შეიტანოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა სხვა დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების ამსახველი ფოტომასალა.

საკადასტრო კოდი: N 01.18.13.020.063

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ღოღობერიძე , N 9 , მიმდებარედ



by LLC “Forest Company”





























































































